პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი | № 29 (13711) | პარასკევი, 3 თებერვალი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

როგორც ვიუწყებოდით, 1 თებერვალს მუშაობა დაიწყო სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის II პლენუმმა.

მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1966 წლის) პლენუმის შედეგების შესახებ" გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ სრულიად საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ტრუშინი, უზბეკეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რ. აბდულაევა, სვერდლოვსკის ქარხანა „ურალმანქანის" ხარატი ვ. მოტორინი, უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ელჩენკო, უმცროსი სერჟანტი, ქეყანაყოფის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ნ. ვორობიოვი, სოციალისტური შრომის გმირი მოლდავეთის სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ე. ტაბანსკაია, სრულიად საკავშირო ალკკ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. ნიკოლაევი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ინსტიტუტის სტუდენტი ლ. სკორობოგატოვი, ყაზახეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი უ. ჯანიბეკოვი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. პავლოვი.

პლენუმის მონაწილეებმა დღის წესრიგის პირველი პუნქტის გამო მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1966 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გ. ეგორიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ვ. ი. სტეპაკოვი.

პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

ნორჩი ცვლის ხელმძღვანელი

მოსკოვი, 2 თებერვალი. (საკკდესის მათი ხარისხი არ შეესაბამება ახლანდელ კორ). სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მეორე დღე მიეძღვნა ზრუნვას პიონერიისათვის, რომლის რიგებშიც ამჟამად ოცდასამი მილიონი ბავშვია. მოხსენება „გავაუმჯობესოთ სრულიად საკავშირო ალკკ საქმიანობა ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობაში" გააკეთა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. პ. პავლოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა თბილისის მაუდ-კამკოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" კოლექტივი, რომელმაც გასული სამეურნეო წელი მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრა და კარგი მათი ხარისხი არ შეესაბამება ახლანდელ მაღალ მოთხოვნებს. რადიოსა და ტელევიზიას შეუძლიათ აგრეთვე შეტი სარგებლობა მოუტანონ ნორჩ ცვლას, უფრო ხშირად გამოდიოდნენ საინტერესო პიონერული საქმეების ორგანიზატორთა როლში.

პლენუმის ტრიბუნიდან ხ. პ. პავლოვმა მოუწოდა მუშებს, ინჟინრებს, მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, მხატვრებს, სტუდენტებს უხელმძღვანელონ ბავშვებს პარკებსა და კლუბებში, პიონერთა სასახლეებში, დაეხმარონ ბავშვებს ცოდნის დაუფლებაში, ჩაუნერგონ მათ მიმებლობა, შეუპოვრობა, გაბედულობა. სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვებთან მუშაობას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საპატიო პიონერხელმძღვანელის ძნელი შრომა. ჩვენს ქვეყანაში თითქმის 80 ათასი პიონერხელმძღვანელია, თქვა ს. პ. პავლოვმა. იგი შეეხო პიონერხელმძღვანელთა საქმიანობის პრობლემებს.

პლენუმზე მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ ბელორუსიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჟაბიცკი, უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. შევჩენკო, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. კუცევი, უფროსი სერჟანტი, რაზმის ხელმძღვანელი ი. კლიმოვი, სსრ კავშირის განთლების მინისტრი მ. ა. პროკოფიევი, კომპოზიტორი დ. ბ. კაბალევსკი და სხვები.

პლენუმის საღამოს სხდომაზე მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ბ. ვ. პეტროვსკი, კომბინატი მფრინავი საბჭოთა კავშირის გმირი ა. ა. ლეონოვი და სხვები.

საღამოს სხდომის დასასრულს კომკავშირის უმაღლესი ჯილდო — სრულიად საკავშირო ალკკ საპატიო ნიშანი საზეიმოდ გადასცეს მუშა, სოფლის, მეცნიერების, შემოქმედი და არმიის ახალგაზრდობის წარმომადგენლებს დიდი მიღწევებისათვის შრომაში, მეცნიერებასა და ხელოვნებაში, მამაცობისა და გმირობისათვის ჩვენი სამშობლოს წმიდათა წმიდა საზღვრების დაცვაში აქტიური მუშაობისათვის ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში.

3 თებერვალს პლენუმი განაგრძობს მუშაობას.

საიუბილეო შრომით ვახტზე

სრული მეტალურგიული ციკლით

რუსთავი. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში ქართველმა მეტალურგებმა ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს, ხუთწლედის მეორე წლის პირველი თვის სახელმწიფო დავალება სრული მეტალურგიული ციკლით შეასრულეს. ეს ნიშნავს: გეგმის გადამეტებით წარმოებულია ასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, კოქსი და ქარხნის მთელი დანარჩენი პროდუქცია.

წინა თვესთან შედარებით მნიშვნელოვნად უკეთესი მაჩვენებლებია მიღწეული შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში.

მარტო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით გაწეულია 10.000 მანეთზე მეტი ეკონომია.

60 ათასი მანეთით მეტი

ჟუთაისი, (საკ. კორ.). თბილისელ ელმავალმშენებელთა პოწოდების საპასუხოდ № 8 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა გაიხადა შეჯიბრება სამახსოვრო საიუბილეო დრომის მოპოვებისათვის და იკისრა თერთმეტი თვის დავალება ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით შვიდი ნოემბრისათვის შესასრულოს, ამასთან პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება 99 პროცენტამდე აიყვანონს.

მკერავები მტკიცედ არიან პირობაზე. მათ იანვრის გეგმის გადამეტებით 60 ათასი მანეთის პროდუქცია მისცეს მომხმარებელს.

მაღალნაყოფიერი შრომით გამოირჩევიან საგამომჭრელო № 1 და № 2 სამკერვალო საამქროები. მოწინავე მკერავები, კომუნისტური შრომის დამკვრელები ე. ლიპარტელიანი, ც. გოგსაძე, მ. მეკვანაძე, ა. თუთბერიძე, მ. ერემეიშვილი, ნ. კაკუშაძე მთლიანად პირველი ხარისხის ნაწარმს უშვებენ.

გეგმის გადამეტებით

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის საიუბილეო მზადებისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა თბილისის მაუდ-კამკოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" კოლექტივი, რომელმაც გასული სამეურნეო წელი მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრა და კარგი სტარტი აიღო წელსაც.

ქართველმა ფეიქრებმა გუშინ შეჯამეს იანვრის შედეგები და ცნობილი გახდა, რომ გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 3.900 მეტრი ქსოვილი. თვიდანვე დიდი ყურადღება დაეთმო პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. იანვარში პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების დავალება შესრულებულია 10.800 მეტრის გადამეტებით. კ�lავ მოწინავეთა რიგებშია კომუნისტური შრომის მაუდის საწარმოს ქ. ოტაბაშვილის მრთველთა ბრიგადა. ამ ბრიგადის წევრებმა შარშან გეგმის გადამეტებით 25 ტონა ნართი გამოუშვეს, წარმატებით დაამთავრეს საიუბილეო წლის პირველი თვეც და თორმეტი პროცენტის გადამეტებით გაანაღდეს პროდუქციის გამოშვების დავალება.

ახალციხური ყველი

ახალციხე. (საკ. კორ.). ყველისა და კარაქის მთავარი ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის საიუბილეო შრომითს ვახტზე დგას, შესანიშნავი მაჩვენებლებით დაამთავრა გასული წელი. პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება შესრულებულია 113,1 პროცენტით.

ხუთწლედის მეორე წლის პირველ ორ დეკადაში ქარხანამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 6 ათასი ნაღეთის ყველი.

ქარხნის კოლექტივის ვალდებულებაა პირველი კვარტალის დავალება შეასრულოს ვადაზე ათი დღით ადრე, ხოლო წლიური დავალების შესრულება სამშობლოს უპატაჟოს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავისათვის.

ზეგეგმითი შენადნობი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). გამართულად და მომჭირნეობით მუშაობს ფეროშენადნობთა ქარხნის მეოთხე საამქროს კოლექტივი, რომელსაც ინჟინერ-მეტალურგი ივ. არაბული ხელმძღვანელობს. ამ საამქროს კოლექტივი საიუბილეო შეჯიბრების ცათაევშია. მარტო დეკემბერში აქ გეგმის გადამეტებით გამოადნეს 1.355 ტონა ლითონი, შრომის ნაყოფიერება გაზარდეს 18 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირეს 5 პროცენტით.

საამქროთა შორის გაშლილ შეჯიბრებაში გაიმარჯვა მეოთხე საამქროს კოლექტივმა და ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

აქ უკეთ იმუშავეს იანვარში. თვიური დავალება 27 იანვარს შესრულეს და გეგმის გადამეტებით ასეულობით ტონა მაღალხარისხოვანი შენადნობი გამოუშვეს. თავდადებულად შრომობენ მდინარელები ზ. ფერაძე, კ. გეგეშიძე, კ. კახნიაშვილი, ს. ობოლაძე, ი. კაკამიძე, პ. არევაძე და სხვები. ისინი საღამოსწყალო ვახტზე დგანან და ზეგეგმითს ლითონს იძლევიან.

ნაბეღლავი, ფოლადი, ნაგლინი, კოქსი და ქარხნის

თბილისის ქარხანა „მიკროძრავის" კოლექტივმა იანვრის ოცი დღის დავალება გადაჭარბებით შეასრულა.

ქარხნის წარმატებებში დიდი წვლილი შეაქვს ახალგაზრდობას. უმრავლესობა ყოველდღიურ საწარმოო დავალებას სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

სურათებზე: ზემოთ — დამხვეები სამქროს მოწინავე მეშვები (მარცხნიდან მარჯვნივ): ნათელი უდიმამშვილი, ეკა ანთიძე, ვალენტინა პროხოდჩენკო, ვალენტინა გაიხვო და მარინა ივანოვა; (ქვემოთ) — მექანიკური საამქროს ოსტატი ნოდარ ბურჯანაძე ამოწმებს მოწინავე კომკავშრომელს ხარატ რომან ღალანიძის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



საპატიო ჯილდო

წარმატებებისათვის, რომლებიც მშრომელებმა მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა **ლენინის** ორდენით დააჯილდოვა **კემეროვოს ოლქი.**

ლენინის ორდენით დაჯილდოვეს ბგრეთვე **მინსკის ოლქი.** მინსკის ოლქს საპატიო ჯილდო მიენიჭა პარტიზანულ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის, მამაცობისა და გმირობისათვის, რომლებიც მშრომელებმა გამოიჩინეს გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი სამამულო ომის დროს, და წარმატებებისათვის, რომლებიც მოიპოვეს სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში. (საკდესი).

წუთები და ცენტნერები

ჩვენი ქვეყნის ცნობილი მექანიზატორების ვ. სვეტლიჩნისა და ვ. პერვიცკის მიერ შემუშავებულ შრომის მცირე დანახარჯით შაქრის ჭარხლისა და სიმინდის თესვა-მოყვანის ტექნოლოგიას ამიერიდან გამოიყენებენ სხვა კულტურების თესვა-მოყვანის დროსაც. ამიტომ ვ. პერვიცკისა და ნ. ბულიშევის რეკომენდაციანი ახლა გაფართოდა — მათში „შეერიდა ოცდახუთი მექანიზატორი.

ორივე რეკორდი ვ. სვეტლიჩნის ხელმძღვანელობით 2,5 ათას ჰექტარ ფართობზე მოიყვანს ხორბალს, სიმინდს, შაქრის ჭარხალს, მზესუმზირას, ბარდას, მრავალწლიან ბალახებს.

რეკორდები უკვე დამთავრდა ტრაქტორებისა და მთელი სასოფლო-სამეურნეო იარაღის რემონტი, იუწყება საკდესის კორესპონდენტი კრასნოდარიდან. გაზაფხულისათვის სავსებით მომზადებულია საგაზაფხულო კულტურების თესლი.

საიუბილეო წელს მექანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ ჰექტარზე საშუალოდ მოიწონონ: 40 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი, 50 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, 300 — შაქრის ჭარხალი და 20 ცენტნერი მზესუმზირა. ამასთან ოითოეული ცენტნერი სიმინდის წარმოებაზე გადაწყვეტილია, მაგალითად, დაიხარჯოს სულ ბევრი რვა წუთი.

ემზადებიან დიადი თარიღისათვის

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი

საბჭოთა ხალხი მხურვალედ იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მზადების შესახებ". მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოებში, ტრანსპორტზე, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, შემოქმედებითს ორგანიზაციებში, სასწავლო დაწესებულებებში. ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება დიადი დღესასწაულის ღირსეულად მოსახვედრისათვის.

როგორ აღვნიშნოთ უფრო კარგად საბჭოთა ხელისუფლების იუბილე? ამ საკითხს მიეძღვნა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს VI პლენუმი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები, მსხვილი საწარმოებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, წარმოების მოწინავენი. პლენუმმა მოისმინა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის შ. დ. კიკნაძის მოხსენება „საკავშირო პროფსაბჭოს XI პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით".

მომხსენებლებმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს სსრ შრომელებმა, ასრულებენ რა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, დიდი წარმატებანი მოიპოვეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის საქმეში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ახლახან გაიმართა, დასახა ვრცელი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის ღირსეულად შეხვედრას.

საწარმოთა კოლექტივების სოციალისტურ შეჯიბრებას ოქტომბრის დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის მეთაურობენ პროფკავშირული ორგანიზაციები. მშრომელებმა იკისრეს სოციალისტური ვალდებულება — გადამეტებით შეასრულონ 1967 წლის გეგმები.

უდიდესი ურალში

სეროვი. 1 თებერვალი (საკდესის კორ.). დღეს „სეროვის ფოლადმშენის" ტრესტის მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს სეროვის მეფრინველეობის ფაბრიკის მეორე რიგი. ეს უდიდესი მეფრინველეობის ფაბრიკაა ურალში. იგი ყოველწლიურად მოგაცემს 20 მილიონ კვერცხს, 400 ტონა ხორცს.

19 ივლისი
საარჩევნოს
დღეა!

საქართველო ემზადება არჩევნებისათვის

საუბრები, გამოფენა

ბათუმი. არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით დიდი მუშაობა გააჩაღა ბათუმის ნავთობგადამმუშავებელმა ქარხანამ. წინასაარჩევნო კამპანიაში აქ პარტიული ორგანიზაციის მთელი აქტივია ჩაბმული. პარტიის პოლიტიკის საინტერესო საკითხებზე ამომრჩევლებთან ხშირად საუბრობენ ქარხნის დირექტორი ს. დოლიძე, მთავარი ინჟინერი მ. ბეჟანიძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ოპერატორი ა. გაბუნია და სხვები.

ამომრჩეველთა კლუბში მუდამ ბევრი ხალხია. კლუბის ხელმძღვანელს კ. დოხნაძეს სამუშაო გეგმაში მრავალფეროვანი ღონისძიებები აქვს დაგეგმილი. აქ ხალისით მოდიან ამომრჩევლები, ნახულობენ ტელეგადაცემებს, ისმენენ საუბრებსა და ლექციებს.

ამომრჩეველთა კლუბში, რომელიც მოწყობილია კულტურის სასახლეში, ნახავთ გამოფენას „აჭარა 50 წლისთავზე", აგრეთვე საინტერესო პლაკატებს. არჩევნების დღეებში კლუბს დაგეგმილი აქვს მოაწყოს ლენინური კითხვა.

ს. კუტუბიძე,

ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

კვარტალის დავალებანი — არჩევნების დღისათვის

ჭიათურა. (საკ. კორ). ქართული ძარგანეცის ქალაქში უკვე გაჩაღდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება. მაღაროებსა და მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში უკვე შეიქმნა 12 ამომრჩეველთა კლუბი, სადაც მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევა ხუთასზე მეტი პოლიტორგანიზატორი.

პირველი ნაბიჯები გადადგეს ლენინის, ორჯონიკიძის, კალინინის, დიმიტროვის სახელობის მაღაროების ამომრჩეველთა კლუბებმა. მოეწყო საარჩევნო ლიტერატურის გამოფენები. აქ ყოველდღე მოდის ახალი ჟურნალ-გაზეთები, მოწყობილია ფოტოგამოფენები, სტენდები, იმართება მოხსენებები და საუბრები.

არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით მაღაროებში შრომითი აღმავლობაა. ორჯონიკიძის, კალინინის, დიმიტროვის სახელობის, პერეკოპის მაღაროების კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს იანვრის დავალებანი. ორჯონიკიძისა და კალინინის სახელობის მაღაროები იმისათვის იბრძვიან, რომ პირველი კვარტალის დავალებანი არჩევნების დღისათვის — 19 მარტისათვის შეასრულონ.



მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრები

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). ბევრი ხალხია ამ დღეებში ამომრჩეველთა ოცდაერთსავე კლუბში, სადაც სოფლის მშრომელებისათვის იმართება ლექციები, მოხსენებები, საუბრები, კონსულტაციები, კითხვა-პასუხის და თეატრული სალამოები, ეწყობა ახალგაზრდა ამომრჩეველთა შეკრებები, შეხვედრები მოწინავე ადამიანებთან.

კარგად დაიწყეს მუშაობა დიმიტროვიანისა და ფერსათის ამომრჩეველთა კლუბებმა, რომლებსაც გამოცდილი და კვალიფიციური მუშაკები კ. ჯიბვაძე, ქ. მორჩიაშვილი და დ. თავხელიძე უძღვებიან. ამ კლუბებში მუდამ არის ახალი ჟურნალ-გაზეთები, საარჩევნო ლიტერატურა, მოწყობილია ფოტოგამოფენები, სტენდები, გამოდის არჩევნებისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთები.

რაიონის კოლმეურნეობებსა და საწარმოებში მომავალ არჩევნებზე და მომდინარე პოლიტიკის საკითხებზე საუბრებს მართავს 500-მდე კაცი. პარტიის რაიკომისა და საზოგადოება „ცოდნის" ლექტორებმა დ. კვირიკაძემ, ე. ტყეშელაშვილმა, ე. არნავიძემ, ო. ჩიქვინიძემ და სხვებმა ამომრჩევლებისათვის წაიკითხეს საინტერესო ლექციები.

გაზაფხული გვიხმობს

დროულად შევაკეთოთ ტექნიკა

ჩვენი მიმოხილვა

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელები ეწერგულად ემზადებიან საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. ახლა ჩვენი ტემპით მიმდინარეობს ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების რემონტი. ეს სამუშაო ამჟამად წლითან შედარებით უკეთ არის ორგანიზებული. ამის შედეგად ტრაქტორების რემონტის 1966 წლის მეოთხე და 1967 წლის პირველი კვარტალის გეგმა 1 თებერვლისათვის შესრულებული იყო 86,5 პროცენტით. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 1 თებერვლის ცნობებით რესპუბლიკაში შეკეთებულია 2.982 ტრაქტორი ნაცვლად 3.448 ტრაქტორისა.

მეელ რიგ რაიონებში სამუშაოდ მოაწყეს ტრაქტორების რემონტი. და წარმატებაც მოიპოვეს: მაგალითად, **ხიდნაღის** რაიონში გეგმით გათვალისწინებული 160 ტრაქტორის ნაცვლად შეაკეთეს 173 ტრაქტორი. **წითელწყაროელებმა** დავალება 122,2 პროცენტით შესრულეს. გადაჭარბებით აქვთ შესრულებული რემონტის გეგმები **ლაგოდეხის, საგარეჯოს, გურჯაანის, ყვარლის, თერჯოლის, სამტრედიის, ქარელის, ხაჩხირის, ორჯონიკიძის, ცხაკაიას** რაიონებს და **აჭარის** ასს რესპუბლიკას.

უკანასკნელ დღეებში ტრაქტორების რემონტის ტემპი გაძლიერეს **ბორჯომის, ხაშურის, ახალქალაქის,** თელავის, გარდაბნის, ბოლნისის, დუშეთის, თეთრი წყაროს, აბაშის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, წალენჯიხის, მახარაძის რაიონებმა. მათ გეგმა შესრულებული აქვთ 75-95 პროცენტით. ბევრგან კი ცალკე ჩამორჩენაა. **ბოგდანოვკის** რაიონში 60 ტრაქტორიდან შეკეთებულია 39, **ახალციხის** რაიონში 24 ტრაქტორიდან — 15. **ვახტანგ III-ის** **ბანკის** შეაკეთეს 63 ტრაქტორი, გეგმა კი 104 ტრაქტორის შეკეთებას თვალსწინებს. **ბორჯომელებმა** 20 ტრაქტორიდან შეაკეთეს 6, **მცხეთელებმა** — 61-დან — 31.

ტრაქტორების რემონტის გეგმა ადგენს რაიონში შესრულებულია 75 პროცენტით, ასპინძის — 71,4, ახმეტის — 75,4, წყალტუბოს — 71,4, ამბროლაურის — 54,5, ცაგერის — 57,1, ლაგინჩუთის — 69, ჩოხატაურის — 64, მარნეულის — 51,2, დმანისის — 52,3, წულუკიძის — 60, ზესტაფონის — 66,7, ხობის რაიონში — 76,6 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 87,8 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 83,3 პროცენტით.

რესპუბლიკის მეელ რიგ რაიონებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მარცვლის ასაღები კომბაინებისა და კულტივატორების რემონტი. სულ გეგმით უნდა შეკეთდეს 861 კომბაინი, ფაქტიურად შეკეთებულია 114, ანუ გეგმის 13,2 პროცენტი. ზოგან კომბაინების რემონტი არ დაუწყიათ. ესეგენი: **ბოგდანოვკის,** ბორის, თელავის, ყვარლის რაიონები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

გეგმით უნდა შეკეთდეს 973 კულტივატორი, შეკეთებულია 321. ბორის რაიონში 50 კულტივატორიდან შეკეთეს 8, ასპინძა — 20-დან 3, თელავში — 38-დან 14, ახმეტაში — 17-დან 3, მარნეულში — 45-დან 2 კულტივატორი და სხვ. მარცვლასაწმენდი მანქანები გეგმის გარეშე შეაკეთეს ქარელს, ბორის, ადიგენის, ყვარლის, ლაგოდეხის, მარნეულის, წალკის, თეთრი წყაროს რაიონებმა. გეგმით უნდა შეკეთებულიყო 40 მარცვალსაწმენდი მანქანა, შეკეთებულია 86 ცალი.

სულ მალე გაზაფხული დადგება. დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რათა მეელი ტექნიკა მზად შეეხვედროთ საგაზაფხულო სამუშაოებს.

ზემოქედელების თადარიგი

წითელწყარო. (საკ. კორ.). წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში გაჩაღებულია მზადება საიუბილეო წლის საგაზაფხულო თესვისათვის. „საქტექნიკისა" თუ კოლმეურნეობათა ხახელოსნოებში დილიდან ღამემდე არ წყდება მუშაობა. ტრაქტორებს, სათესებს, გუთნებს თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას აკანსაღებენ.

ზემო ქედის კოლმეურნეობის მექანიზატორებმა, რომლებსაც ინჟინერ-მექანიკოსი ა. მიხაილოვი ხელმძღვანელობს, უკვე შეაკეთეს სხვადასხვა მარკის 26 ტრაქტორი, 17 სათესი, გუთნები, კულტივატორები, ფარცხები და სხვ. ზემოქედელები ენერგიულად შრომობენ იმისათვის, რომ საზაფხულო კულტურების თესვა, დამუშავება და აღება მთლიანად მექანიზებული იყოს.

გაზაფხულისათვის ყოველმხრივ მზად არიან აგრეთვე ზემო მაჩხანის, ჯაფარიძის, არხილოსკალოსა და სხვა კოლმეურნეობათა მექანიზატორები.

შრომითი ნოგათი

წითელწყარო. (საკ. კორ.). ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ნ. უოჩიაშვილი) მეცხოველეები სასახელოდ ანადგურებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის დავალება 185,4 პროცენტით შესრულეს. გეგმით გათვალისწინებული 41 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 76 ტონა ხორცი.

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ხელშეკრულებაში დაწინაურდნენ აგრეთვე ზემო მაჩხაანის, ზემო ქედისა და ოზაანის კოლმეურნეობები.

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებში მთელი ძალით გაჩაღდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. მეცხოველეები ნაკისრ ვალდებულებებს სასახელოდ ანადგურებენ.

სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" მეცხოველეებმა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის 6 თვიან დავალება 134 პროცენტით გაანადგურეს. გეგმით სახელმწიფოსათვის 22 ტონა უნდა მიეყიდათ. ფაქტიურად 29,5 ტონა მიაყიდეს.

დამამზადებელ პუნქტებს დიდძალი ხორცს აბარებენ აგრეთვე ცოდნისაკარის, ვარდისუბნის, აფენის, ბაისუბნისა და სხვა კოლმეურნეობები.

საქართველო ემზადება საარჩევნებისათვის

საუბრები, გამოფენა

ბათუმი. არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით დიდი მუშაობა გააჩაღა ბათუმის ნავთობგადამმუშავებელმა ქარხანამ. წინასაარჩევნო კამპანიაში აქ პარტიული ორგანიზაციის მთელი აქტივია ჩაბმული. პარტიის პოლიტიკის საინტერესო საკითხებზე ამომრჩევლებთან ხშირად საუბრობენ ქარხნის დირექტორი ს. დოლიძე, მთავარი ინჟინერი მ. ბეჟანიძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ოპერატორი ა. გაბუნია და სხვები.

ამომრჩეველთა კლუბში მუდამ ბევრი ხალხია.

ს. კუტუბიძე,

ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

კვარტალის დავალებანი — არჩევნების დღისათვის

ჭიათურა. (საკ. კორ). ქართული ძარგანეცის ქალაქში უკვე გაჩაღდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება. მაღაროებსა და მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში უკვე შეიქმნა 12 ამომრჩეველთა კლუბი, სადაც მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევა ხუთასზე მეტი პოლიტორგანიზატორი.

პირველი ნაბიჯები გადადგეს ლენინის, ორჯონიკიძის, კალინინის, დიმიტროვის სახელობის მაღაროების ამომრჩეველთა კლუბებმა. მოეწყო საარჩევნო ლიტერატურის გამოფენები. აქ ყოველდღე მოდის ახალი ჟურნალ-გაზეთები, მოწყობილია ფოტოგამოფენები, სტენდები, იმართება მოხსენებები და საუბრები.

არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით მაღაროებში შრომითი აღმავლობაა. ორჯონიკიძის, კალინინის, დიმიტროვის სახელობის, პერეკოპის მაღაროების კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს იანვრის დავალებანი. ორჯონიკიძისა და კალინინის სახელობის მაღაროები იმისათვის იბრძვიან, რომ პირველი კვარტალის დავალებანი არჩევნების დღისათვის — 19 მარტისათვის შეასრულონ.

ქალიული ცხოვრება

ახლის ძიებაში

კომუნისტები და რენტაბელობა

ლენინის სახელობის შახტი რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი სამთო საწარმოა. წლების მანძილზე იგი სისტემატურად ზრდის საკოქსე ქვანახშირის მოპოვებას, შრომის ნაყოფიერებას, აიაფებს პროდუქციას, აუმჯობესებს მის ხარისხს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ შახტის კოლექტივმა ტყიბულში პირველმა აითვისა საპროექტო სიმძლავრე და შვიდწლიანი გეგმა დიდი გადამეტებით შეასრულა. თვალსაჩინო სამეურნეო წარმატებები მოიპოვა მან ხუთწლედის პირველ წელსაც. ფებრიკა-ქარხნებს გეგმის გადამეტებით გაეგზავნათ ორათეულ ეშელონზე მეტი „შავი ოქრო".

წარმოების მართვის დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის მომზადებისა და განხორციელებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში კომუნისტები არიან. მთელ მათს ყოველდღიურ, შემოქმედებითს საქმიანობას წარმართავს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში პარტიის 340 წევრსა და კანდიდატს აერთიანებს.

სამეურნეო რეფორმის განხორციელებისათვის მზადებას წინ უძღოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1965 წ.) პლენუმისა და პარტიის XXIII ყრილობის ისტორიული დოკუმენტების საფუძველიანად შესწავლა. ყველა კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი ჩაბმულ იქნა პარტიულ სწავლებაში. სამეურნეო საკითხების ძირფესვიანად შესწავლის მიზნით მოეწყო ლექციების ციკლი. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თეორიულმა კონფერენციამ თემაზე „თვითღირებულების შემცირების გზები ქვანახშირის მრეწველობაში". მეშახტე კომუნისტებმა მრავალი საკრიბოროტო, პრობლემატური საკითხი დააყენეს და მიუთითეს მათი გადაჭრის გზებზე.

გასულ ზაფხულში ღია პარტიულმა კრებამ განიხილა ხუთწლედის პირველი წლის ექვსი თვის შედეგები და ახალი ამოცანები. მომხსენებელმა — შახტის მთავარმა ინჟინერმა, კომუნისტმა ვ. პატარიძემ დამაჯერებლად ილაპარაკა შრომის ნაყოფიერების ზრდისა და რენტაბელური მუშაობის გზებზე, მოიყვანა ციფრები, მიუთითა გამოუყენებელ რეზერვებზე. მოხსენებამ დამსწრეთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიც 11 კომუნისტმა მიიღო მონაწილეობა. კომუნისტები მოურიდებლად, პირუთვნელად აკრიტიკებდნენ ნაკლოვანებებს, მოითხოვდნენ ხელშემშლელი მიზეზების აღმოფხვრას.

კრებამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ შახტში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ხე-ტყის მასალის ეკონომიურად ხარჯვას.

კომუნისტები მიუთითებდნენ მეშახტეებს, თუ რა გზით შეიძლებოდა ძვირადღირებული მასალის დაზოგვა. საეჭვალოატაციო უბნებში ფართოდ გავრცელდა ნახმარი ბიგების სამთო გამონამუშევრებიდან გამოტაცების მეთოდი. მეტი ყურადღება მიექცა სანგრევებში რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენებას, ყოველივე ამან მნიშვნელოვნად შეამცირა ხე-ტყის ხარჯვა. მთელ შახტში დაზოგილ იქნა 267 კუბმეტრი მასალა, რომლის ღირებულება 5.740 მანეთს შეადგენს.

სახალხო კონტროლიორებმა და კომკავშრომული პროექტორის წევრებმა თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს ავრეთვე ფეთქებადი ნივთიერების, რეზინის მილებისა და სხვა მასალების ეკონომიურად ხარჯვისათვის. ახლა საშახტო პარტიული ორგანიზაციისა და მეშახტეთა მთელი კოლექტივის წინაშე დგას ამოცანა გამონახონ დამატებითი რეზერვები და ამ გზით გაადიდონ წარმოების მოგება.

ამ აქტუალურ საკითხზე დიდი მსჯელობა გაიმართა პარტიული კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც სამი თვის წინათ შედგა. კამათის მონაწილეს კომუნისტებმა წამოაყენეს წინადადება შახტში მოეწყოთ დათვალიერების ერთთვიური, რომელიც გამოავლენდა მატერიალური, შრომითი და ფულადი დანახარჯების შემცირების გზებს. დათვალიერების ორგანიზებადად მოწყობის მიზნით შეიქმნა საშახტო კომისია 7 კომუნისტის შემადგენლობით. ბიურომ მიზანშეწონილად ცნო 5 დარგობრივი კომისიის შექმნა, რომლებშიც 40 კომუნისტი გაერთიანდა.

მეტად ნაყოფიერი მუშაობა გასწია ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესების საკითხების შემსწავლელმა კომისიამ, რომელსაც სამთო ინჟინერი ქალი, კომუნისტი ე. ვაშაკიძე ხელმძღვანელობდა. კომისიის წევრებმა ინახულეს მიწისქვეშა სანგრევები, დათვალიერეს ქვანახშირის ფენები, შეისწავლეს ლავაში წყლის დინების რეჟიმი, აგრეთვე ხილული ფუჭი ქანის მექანიკური გადარჩევის საკითხი. კომუნისტებმა ს. სოფრომაძემ, ნ. გაბადაძემ და ა. ცხადაშვილმა ბევრი საკითხი ჩაინიშნეს.

ასე მოუვიდა ქვანახშირის მომხვეტ ძვირფას კონვეიერსაც. ბევრ შახტში ასეთი კონვეიერები ავტომატურ მართვაზეა გადაყვანილი. მაგრამ საავტომატიზაციო მოწყობილობამ ტყიბულში თავისი დანიშნულება ვერ გაამართლა. ხშირად იგი ვერ მუშაობდა სიბადოს მეტად როულ, თავისებურ გარემო-პირობებში. ამ საკითხს ჩაუკვირდა კომუნისტი რაციონალიზატორი ს. ბობოხიძე, რომელმაც შეიმუშავა და წარმოებაში დანერგა ავტომატიზაციის თავისებური სქემა. ახლა ლენინის სახელობის შახტში უკვე 25. კონვეიერი გადაყვანილია ავტომატურ მართვაზე. ეს კენტიკური პროგრესი წელიწადში 100 ათას მანეთზე მეტ მოგებას იძლევა.

ტექნიკური პროგრესის საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ ინჟინერ გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს. უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე რაციონალიზატორებმა სამოცამდე წინადადება შემოიტანეს. ბევრი მათგანი უკვე დანერგა წარმოებაში, რაც დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა. განსაკუთრებით ბევრი გაკეთეს კომუნისტმა რაციონალიზატორებმა. მაგალითად, კომუნისტმა მექანიზატორმა დ. გვინტაძემ

ლენინური გაკვეთილები

მოქმედებაშია კომუნისტური სწავლების შესანიშნავი ფორმა

დიად თარიღებს — ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავსა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ღირსეულ შეგებერას უმზადებს ქუთაისის საკონსერვო ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ვადამდე შეასრულა ხუთწლედის პირველი წლის დავალება და სამშრომლოს 33 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მისცა.

ახლა, საიუბილეო წლის ამ სახელოვანი შრომითი ვახტის დღეებში, სულ უფრო მატულობს ადამიანების აქტივობა, იმისაკენ მისწრაფება, რომ თვითეულმა ცალკე და ყველამ ერთად თავისი შრომის, აზრისა და გონების ახალი, შესაფერი ნაყოფი მიუძღვნას საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავს.

ამ საერთო ალმავლობას არა მარტო მსარი აუბა, არამედ სათავეშიც ჩაუდგა ქარხნის პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც მთელი კოლექტივის გულისყური მიაპყრო იმას, რომ თვითეულმა მშრომელმა კარგად იცოდეს საბჭოთა სახელმწიფოს ამ ნასეგარსაუკუნოვანი გზის სიდიადე, იცოდეს ლენინის იდეების შემოქმედებითი ძალა, იცოდეს სწორად და სწორად გამოიყენოს იგი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკაში.

მშობლიური ლენინური პარტიისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის სიამაყის გრძნობით შეუდგნენ ქარხნის კომუნისტები, კომკავშირელები და უპარტიო აქტივისტები მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომების, ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის შესწავლას.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც პოლიტიკური სწავლების ორგანიზაციის მდიდარი გამოცდილება შეიძინა, უკვე ორი წელიწადია ლენინურ გაკვეთილებს აწყობს და სულ უფრო შინაარსიანად, საინტერესოდ წარმართავს მათ.

დადგა საიუბილეო წელი, და ლენინური გაკვეთილების თემატიკაც ამ ყველაზე ძვირფას და სასისარულო დღესასწაულს შეუფარდეს.

საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის სახელთან არის დაკავშირებული. ამიტომაც ბუნებრივია, რომ საიუბილეო წლის პირველი ლენინური გაკვეთილი მოეწყო თებერვალში: „ვ. ი. ლენინი ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და გამართვების პერიოდში".

ამ გაკვეთილისათვის მზადებაში მარტოოდენ ე. წ. ძირითადი მომსმენელები რადი ჩაებნენ. ბელადის ნაშრომებს, სათანადო ლიტერატურას, სკკპ ისტორიის სახელმძღვანელოს შესაბამის თავებსა და ქვეთავებს დამოუკიდებლად სწავლობდა პარტიული და კომკავშირული პოლიტიკური განათლების ქსელის თითქმის ყველა მსმენელი.

ერთი თვით ადრე, ქარხნის პარტიბიურომ იდეოლოგიური კომისიის მეცადინეობით შეადგინეს ლენინური გაკვეთილის მოფიქრებული გეგმა. ქარხნის ბიბლიოთეკაში მოაწყეს სარეკომენდაციო ლიტერატურის გამოფენა. გამოცდილმა პროპაგანდისტებმა რამდენჯერმე ჩაატარეს კონსულტაციები.

და აი საიუბილეო ლენინური გაკვეთილი დაიწყო. ქარხნის პარტბიურის მდივანმა ს. შარაბიძემ სიტყვა მისცა სათუნუქე საამქროს პარტორგანიზაციის მდივანს, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომების შემსწავლელი თეორიული სემინარის მსმენელს გრ. დვალიშვილს.

ეტყობა, კომუნისტ გრ. დვალიშვილს წაუკითხავს არა მარტო ძირითადი ლიტერატურა, არამედ დ. სულიაშვილის ახლახან გამოცემული მეხუთე ნაშრომიც „დღენი ჩემნი ცხოვრებისა". ამიტომაც მან ასე საინტერესოდ მოუთხრო გაკვეთილის მონაწილეებს ემიგრაციაში ვ. ი. ლენინის ცხოვრებაზე, შემდეგ კი თამამიდეგრულად გაამუქა პეტროგრადში ვ. ი. ლენინის ჩამოსვლა და ამის უდიდესი მნიშვნელობა რევოლუციისათვის, ვ. ი. ლენინის ცხოლილი აპრილის თეზისები და, ბოლოს, დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა მთელი პარტიის მტკიცე დარაზმულობაზე ლენინური იდეების გარშემო.

ლენინურ გაკვეთილზე ყველანი უდიდესი ინტერესით მოელოდნენ ძველი ბოლშევიკის ვასილ შვანერაძის გამოსვლას. მას უნდა ელაპარაკნა პარტიის VI ყრილობის მუშაობაზე. ვასილ შვანერაძეს ამასთან პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნოგონებაც ჰქონდა ჩაწერილი, მაგრამ იგი ერთი კვირით ადრე ავად გახდა. ამის მიუხედავად მისი ჩანაწერები ლენინურ გაკვეთილზე მოისმინეს. იგი ახალგაზრდა ინჟინერმა ზ. ფხაკაძემ წაუკითხა დამსწრეებს.

შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ვ. ი. ლენინის დაუცხრომელ მოღვაწეობას მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები საამქროს უფროსმა ა. კაკაურიძემ, ინჟინერმა გ. ჯიშკარიანმა, სათუნუქე საამქროს ბრიგადირმა ზ. ჩხობაძემ, ამავე საამქროს მუშამ დ. გოცირიძემ, საამქროს კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ნ. გაბადაძემ და სხვებმა.

ლენინური გაკვეთილის მონაწილეებმა ცოცხალი საუბარი გაამართეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უდიდეს მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობაზე, ამ რევოლუციით შობილი ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს მძლავრ ძალებზე, იმაზე, რომ საბჭოთა ადამიანები, მთელი მსოფლიოს მშრომელები ახლა ისწრაფვიან ზეიმით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის სახელოვანი 50 წლისთავი.

ეს პირველი საიუბილეო გაკვეთილი ქარხნის მთელი კოლექტივის შემოქმედებითი აქტივობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა. სათუნუქე საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ზ. ჩხობაძემ ამ გაკვეთილზე ბრიგადის წევრთა სახელით იკისრა 1967 წლის დავალება დიადი დღესასწაულისათვის გაანადგოს. აქვე ასეთივე ვალდებულებები იკისრეს საფაბრიკატო საამქროების კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელებმა ნ. ძიძიგურმა და ჭ. გოდუაძემ. თავიანთი ბრიგადების სახელით მათ სურვილი გამოთქვეს საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებან ოდესისა და ერევნის საკონსერვო ქარხნების კომუნისტური შრომის ბრიგადებთან.

გადაწყდა საიუბილეო წელს სულ მომზადდეს და მოეწყოს ხუთი ლენინური გაკვეთილი, 1967 წლის თებერვალში კი გაიმართოს მეორე საიუბილეო გაკვეთილი თემაზე: „ვ. ი. ლენინი საქართველოს შესახებ".

ლენინური გაკვეთილები, რომლებიც აქ უკვე ტრადიციად იქცა, პოლიტიკური სწავლების, ადამიანთა იდეური წრთობის შესანიშნავი ფორმაა, ეხმარება ქარხნის კოლექტივს წარმატებით გადაწყვიტოს მის წინაშე დასახული ამოცანები, ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდეს დიდ იუბილეს.

შ. ჯავახაძე.

„კომუნისტის" საკ. კორ.

ამბავს წინათ გორის რაიონის 24 კოლმეურნეობის ბაზაზე სოფელ ხელთუბანში შეიქმნა საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკა. იგი სანამუშოდ არის მოწყობილი.

ფაბრიკაში მომვლელთა შრომა დიდად შეამსუბუქა მექანიზაციამ. საკვების მომზადება და მიწოდება, კვერცხების შეგროვება ავტომატურად მექანიზმებით სრულდება. ახლა მეფრინველეობის ფაბრიკის მუშაკები ენერგიულად შრომობენ და დგანან დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ ვახტზე. ამ სურათებზე თქვენ ხედავთ კვერცხმდებელი ქათმებისათვის საკვების მექანიზებულად მიწოდებას, ხოლო წინა პლანზე — საამქროს გამგეს მარი გინტურს და მოწინავე მეფრინველეს **როზა ელიაურს.**

ფოტო **შ. კუკულავასი.**

დროშა მეოთხედ

ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისის კერამიკული კომბინატი ქალაქის ჩამორჩენილ საწარმოთა რიგებში იყო. აუგად იხსენიებდნენ მთელი კოლექტივის მუშაობას. სათანადო დასკვნები გაკეთეს ქართველმა კერამიკოსებმა და მთელი რიგი ღონისძიებები გატარეს ჩამორჩენისათვის თავის დასაღწევად. შედეგიც ბრწყინვალე. ამ კომბინატს რესპუბლიკის საწარმოთა შორის ერთ-ერთის პირველთაგანს მიენიჭა კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელი. საწარმოო გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით ყოველწლიურად გადაჭარბებით სრულდება. მარტო შარშან კომბინატმა სახელმწიფოს 1.230 ათასი მანეთი მოგება მისცა, აქედან 73 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

წარმატებას წარმატებაზე ჭედენ ქართველი კერამიკოსები. შარშან პირველ კვარტალში საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოთა შორის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში კომბინატი გამარჯვებული გამოვიდა და მიეკუთვნა სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. კერამიკოსებმა გადაწყვიტეს არავისთვის დაეთმთ შრომით მოპოვებული ჯილდო. ასეც მოხდა. მათ მეორე და მესამე კვარტალშიც გაიმარჯვეს საკავშირო შეჯიბრებაში, და გარდამავალი დროშა კვლავ თბილისელებს დარჩათ.

ამ დღეებში თბილისის კერამიკული კომბინატის ხელმძღვანელობის სახელზე მოსკოვიდან სასისარულო დეპეშა მოვიდა. სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ი. გრიშმანოვი და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ა. უშაკოვი იტყობინებიან, რომ გასული წლის მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით თბილისელებს კვლავ მიენიჭათ გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია და გამარჯვებას ულოცავენ ქართველ კერამიკოსებს.

საკავშირო გარდამავალი წითელი დროშის ოთხჯერ მინიჭება ერთი საწარმოსათვის საუკეთესო ნეფასებაა ამაგდარი ადამიანების თავდადებული შრომისა.

შემოქმედებითი შრომის ტემპი კვლავ ძლიერდება, ოქტომბრის საიუბილეო წლის პირველი თვის საწარმოო დავალება კომბინატში ვადაზე ადრე საგრძნობი გადაჭარბებით შესრულდა. გეგმის გადამეტებით მშენებლებმა მიიღეს 7.299 კვადრატული მეტრი ფილები, 870 ცალი ნასვეტრად ფაიფურის და სანტექნიკური მოწყობილობანი, სხვა საშენი მასალები.

ი. ბეჟაშვილი.

წერილები რედაქციას

უგანი ელის ცისფერ ეკრანს

ჩვენ „ძველი ტყიბულის" ტერიტორიაზე ვცხოვრობთ. არის ასეთი უბანი მეშახტეთა ქალაქში. აქ ცხოვრობს ქალაქის მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი. „ძველი ტყიბულის" ტერიტორიაზე აგებულია ქვანახშირის გაძაღლდღერებელი ფაბრიკა-გიგანტი, რკინიგზის სადგური, ორი აეტოსატრანსპორტო კანტორა, ხორცკომბინატი...

სამ წელზე მეტია, რაც ამ უბნის მცხოვრებლებს გვაწუხებს ერთი მოუგვარებელი საკითხი. მართალია, თითქმის მთელ ქალაქში ანთია ცისფერი ეკრანები, ტელევიზიის რეტრანსლატორი შესანიშნავად მუშაობს, მაგრამ მთავარი რელეფის გამო ოდი განსახულებას ვერ აწვდის ჩვენს უბანს. მას ეფარება მაღალი მთა, რაც აუარესებს ტელეგადაცემათა ხარისხს.

როგორც ახლა საქმის მცოდნე სპეციალისტები ამბობენ, უმჯობესი იყო რეტრანსლატორი აეშენებინათ ხარისთვალის გადასასვლელზე, საიდანაც ტელეგამოსახულებას მთელი ქალაქი მიიღებდა, მათ შორის, რა თქმა უნდა, ჩვენი უბანიც. მაგრამ ეს რატომღაც ასე არ მოხდა.

არაერთხელ დავაყენეთ რეტრანსლატორისათვის ადგილის შეცვლის საკითხი, მაგრამ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო ჩვენს კანონიერ მოთხოვნას რატომღაც ყოველთვის უარით უპასუხებს. ჩვენ ვიცით, რომ ტელეგადაცემის ხარისხის გაუმჯობესება სხვა გზითაც შეიძლება. ამ დღეებში ტყიბულიდან ტელეგამოსახულება გადაცემულ იქნა მთიანი რაჭის სოფლებში, საამისოდ გამოიყენეს ტექნიკის ახალი მიღწევა.

ნუთუ არ შეიძლება ამ გზით ტყიბულში ტელეგამოსახულების ხარისხის გაუმჯობესება?

ვფიქრობთ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო შეიტყობილის ამ საკითხს და დაიკმაყოფილებს ტყიბულელ მეშახტეთა კანონიერ მოთხოვნას.

შ. კუნელიძე,

დასავლეთი შახტის მნგრეველი.

ი. ციბრეკიძე,

ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის დისპეტჩერი.

გ. სინაბაშვილი,

რკინიგზის ტყიბულის სადგურის ვაგონების გამსინჯველი.

ეუნდა შეკეთდეს

ჭიათურა. კეთილმოწყობილია წინათ ჩამორჩენილი და მივარდნილი სოფელი ხრეითი. აქ ახლა არის ახალი ადმინისტრაციული შენობა, კლუბი, ბიბლიოთეკა, აფთიაქი, საავადმყოფო, სამეცარო სკოლა და სხვ.

მაგრამ უნდა შეკეთდეს ჭიათურა-ხრეითის საავტომობილო გზა, მიხელიძეების დაწყებითი სკოლა, რომელიც ავარიულ მდგომარეობაშია.

ე. თორთლაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გაზეთი იგვიანებს

ზესტაფონი. სოფელ შროშაში ადრე ოთხი კოლმეურნეობა იყო. ყველას თავისი ფოსტის დამტარებელი ყავდა. კოლმეურნეობები გაერთიანდა და მხოლოდ ერთი დამტარებელი დარჩა. მაგრამ დიდ სოფელს ერთი დამტარებელი ვერ სწვდება, გაზეთები ხუთი-ექვსი დღის დაგვიანებით მოგვდის.

ყურნალ-გაზეთები წელს თითქმის ყველა ოჯახს აქვს გამოწერილი. საჭიროა მეორე დამტარებლის დანიშვნა.

ი. გაჩიჩილაძე,

ზესტაფონის რაიონი, სოფ. შროშა.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„ვითომც ვერ ამჩნევენ"

სოფელ ბოსლევის ელექტრომომარაგებაში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა „კომუნისტში" დაბეჭდილი წერილი, რომლის გამო ზესტაფონის რაიონის აღმასკომი რედაქციას ატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში „ვითომც ვერ ამჩნევენ" აღნიშნული ფაქტები შემოწმებით დადასტურდა.

აღვამად სოფელ ბოსლევის დაოუნაშვილების უბანში ელექტრობაზები შეკეთებულია და მოსახლეობა ელექტროგანათებით სარგებლობს.

ასე ეხმარებიან პარტიულ ჯგუფებს

ზნაურის რაიონის სოფელ ავნევში გაიმართა პარტიული ჯგუფების ხელმძღვანელთა ზონალური სემინარი, რომელსაც ესწრებოდნენ ავნევი ს, ხულის, ბუგუთისა და ფრინვეის კოლმეურნეობათა პარტჯგუფ-ორგანიზატორები.

მოხსენებით თემაზე — „პარტიული ჯგუფი, მისი მუშაობის ფორმები და მეთოდები" გამოვიდა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეშაკი ს. ხახანოვი.

სემინარზე ავნევის კოლმეურნეობის № 1 და № 2 საწარმოო ბრიგადების პარტიული ჯგუფების ხელმძღვანელებმა ა. თხელიძემ და შ. კვინიკაძემ დაასწრეთ საკუთარი მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს.

ა. ბინიაშვილი.

ცხინვალი.

მომხმარებელს — მაღალხარისხოვანი ფეხსაცმელი

თანამედროვე პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის მოთხოვნილების ყოველმხრივ აღრიცხვას და მრეწველობასთან ვაჭრობის კავშირის განმტკიცებას. ამოცანა ის არის, რომ კვლავაც სრულყოთ ვაჭრობა, ფართოდ გამოვიყენოთ მომხმარებელთა მომსახურების ახალი თანამედროვე ფორმები. უნდა განვავითაროთ მსხვილი სავაჭრო საწარმოების უშუალო კავშირი სამრეწველო საწარმოებთან.

თბილფეხსაცმელვაჭრობამ ამ მხრივ საკმაო მუშაობა გასწია და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჩვენი სისტემის სავაჭრო ქსელი სისტემატურად აკრულებს წლიურ საქონელბრუნვის გეგმებს. მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიების რიცხვი შემცირდა, საქონელბრუნვის 1966 წლის გეგმა მაინც შესრულებულ იქნა, გაყიდულია 15.044 ათასი მანეთის საქონელი, რაც წინა წლის საქონელბრუნვას 570 ათასი მანეთით აღემატება.

გეგმის შესრულებასთან ერთად მკვეთრად გავაუმჯობესეთ საფინანსო-კონომიური მაჩვენებლები: გეგმით რეალიზაციიდან დახარჯებები გათვალისწინებული იყო 669 ათასი მანეთი, ფაქტიურად შესრულებულმა ამას 16 ათასი მანეთით გადაჭარბა, მიმოქცევის ხარჯების ეკონომიამ 29 ათასი მანეთი შეადგინა. ყოველივე ამის შედეგად **თბილფეხსაცმელვაჭრობამ მოგების გეგმა 158 პროცენტით შეასრულა, ხოლო ზეგეგმიმამ დაგროვებამ 62 ათას მანეთს გადაამეტა.**

შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების შედეგად მკვეთრად ამაღლდა დახლის მუშაკთა შრომის ნაყოფიერება. ამან განსაკუთრებით მკვეთრად ეჩინა თავი მას შემდეგ, რაც შერეული საქონლით მოვაჭრე მაღაზიები გადაკეთებულ იქნა სპეციალიზებულ მაღაზიებად. მაგალითად: მაღაზია № 22-ში ერთ მუშაზე საშუალო წლიური დატვირთვა 1962 წელს უდრიდა 58 ათას მანეთს, 1966 წელს კი თვითეული მუშაკის დატვირთვამ 80 ათას მანეთს გადაჭარბა ასე ორმის ნაყოფიერება გაიზარდა 37 პროცენტით. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა მაღაზიებშიც.

საგრძნობლად გაუმჯობესდა ახალგაზრდა დახლის მუშაკების დაწინაურება. არსებული 34 მაღაზიიდან 12 მაღაზიის ხელმძღვანელებად ყოფილი გამყიდველები მუშაობენ. მათ შორის ხუთი ქალი. მაგალითად, № 14 მაღაზიის გამგედ მუშაობს ცისანა ფერაძე, № 8 მაღაზიაში — ციალა ამაშუკელი, № 9 მაღაზიაში — ნანა იაშაღაშვილი, № 16 მაღაზიაში — ლამარა ფლონიშვილი და № 26 მაღაზიაში — ნელი ახალაშვილი.

აღსანიშნავია, რომ საქონელბრუნვის გეგმა სისტემატურად იზრდება, სავაჭრო ქსელი კი არა, რაც იწვევს მაღაზიების გარკვეულ გადაკეთებოვას და ამის შედეგად გამომუშავების გეგმების ძალიან გადიდებას, რაც არანორმალურად უნდა ჩაითვალოს.

თბილფეხსაცმელვაჭრობის კოლექტივს გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები ექნებოდა, მუშაობაში ხელშემშლელი მიზეზები რომ არ გვქონდეს. ეს კი ასორტიმენტის სიმცირე და მისი დაბალი ხარისხია.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მომხმარებელთა მოთხოვნილების შესწავლას, რის საფუძველზეც საწარმოებს ვაძლევთ სათანადო დაკვეთებს, რომლებიც მეტწილად არ სრულდება. მომხმარებელთა მოთხოვნილების საფუძველზე ჩვენ ბეჭრჯერ დავაყენეთ ეს საკითხი როგორც ცალკეული საწარმოების, ისე მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წინაშე, მაგრამ ჩვენი თხოვნა ქაღალდზე დარჩა და მომხმარებლების სამართლიანი მოთხოვნილება ვერ დაკმაყოფილეთ.

ეს განსაკუთრებით ითქმის სასკოლო ასაკის გოგოხებისა და ბიჭების ფეხსაცმელზე და ხანდაზმული ქალების ტაკავისანრიან შავ ფეხსაცმელზე.

საწარმოება არასაკმაო ოდენობით უშვებენ ისეთ ფეხსაცმელს, როგორიც არის ძოდელური ფეხსაცმელი, მამაკაცის შავი ძოკასინები, ქალის მაღალ და დაბალქუსლიანი ტუფლები, განსაკუთრებით მოხარდი ასაკის ბიჭების ფეხსაცმელი (35-37 ზომები) და მამაკაცისა და ქალის ტყავისძირიანი ფოსტლები. საწარმოები სრულებით არ უშვებენ ქალის ლაქისზედაპირიან ფეხსაცმელს.

სამაგიეროდ მთელი რიგი საწარმოები უხვად უშვებენ ისეთი სახის ფეხსაცმელს, რომელზეც მოთხოვნილება ნაკლებია. თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკა „ისანმა" შარშან დიდი რაოდენობით გამოუშვა რეზინისლანჩიანი მამაკაცის სანდალეტები 1 (არტიკული 82018), რეზინისლანჩიანი მამაკაცის ფოსტლები (არტიკული 6501), რეზინისლანჩიანი და ქსოვილის ზედაპირიანი. ქალის ფოსტლები (არტიკული 3-117). სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატმა დიდი რაოდენობით გამოუშვა სკოლამდელი ასაკის, საბავშვო და სასკოლო ასაკის ბავშვების ტყავისლანჩიანი და მაუდისზედაპირიანი ოთახის თბილი ფეხსაცმელი (არტიკულები 7086, 7076 და 7066). ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატმა — მამაკაცის სანდალეტები (არტიკული 7900) ფერადი ქრომის ზედაპირით. ჩვენი მოთხოვნა, რომ აღნიშნული ფეხსაცმელი არ საღდეს, თავის დროზე ყურად არ იღეს და პროდუქციის გამოშვება განაგრძეს. ახლა ჩვენი მაღაზიები კვლავ სავსეა ამ საქონლით, რომელიც ვერ საღდება. ამან გაგვიზარდა ზენორმატიული ნაშთები.

მიუხედავად იმისა, რომ შარშან წინა წლებთან შედარებით ფეხსაცმლის ხარისხი შედარებით გაუმჯობესებულია, ცალკეული საწარმოები ჯერ კიდევ უშვებენ დაბალი ხარისხის პროდუქციას, რაზეც ნათლად მეტყველებენ შემდეგი ფაქტები. 1966 წელს შეგამოწმეთ 490.226 წყვილი ფეხსაცმელი, საიდანაც 33.209 წყვილი მაღალი ხარისხიდან დაბალ ხარისხში იქნა გადაყვანილი, ხოლო 3.700 წყვილზე მეტი უკან დაუბრუნდათ საწარმოებს როგორც მოხმარებისათვის უვარგისი. ფასების სხვაობისა და ჯარიმის სახით რესპუბლიკის ფეხსაცმლის საწარმოებს მარტო შარშან 41,6 ათასი მანეთი გადაეგზავნეთ.

შარშან მაღალი ხარისხიდან დაბალ ხარისხში გადაყვანილი ფეხსაცმლის რაოდენობამ 7 პროცენტი შეადგინა. ცალკეულ შემთხვევებში კი უარეს ფაქტებთანაც გვაქვს საქმე. მაგალითად, თბილისის ფეხსაცმელის № 6 ფაბრიკიდან (ანგარიში № 121) შარშან მიეღეთ 295 წყვილი ფეხსაცმელი. შემოწმების შემდეგ საწარმოს უკან დაუბრუნდა, როგორც მოხმარებისათვის უვარგისი, 264 წყვილი, ე. ი. 74 პროცენტი.

ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის საწარმოდან (ანგარიში № 7846) მიეღეთ 600 წყვილი ფეხსაცმელი. შემოწმების შემდეგ 205 წყვილი, ანუ 33,5 პროცენტი უხარისხო გამოდგა და დაბალ ხარისხში იქნა გადაყვანილი.

სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატიდან (ანგარიში № 2/196) მიღებული პროდუქციიდან გასინჯულ იქნა 500 წყვილი ფეხსაცმელი, დაბალ ხარისხში გადაყვანილ იქნა 102 წყვილი, ანუ 20,4 პროცენტი, ხოლო თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკიდან (ანგარიში № 022636) მიღებული 300 წყვილიდან დაბალ ხარისხში გადაყვანილ იქნა 60 წყვილი, ანუ 20 პროცენტი. საილუსტრაციოდ ესეც კმარა.

დღეს, როცა ჩვენი რესპუბლიკის საწარმოები დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადადიან, მთავარია რეალიზაცია. ამისათვის კი საჭიროა გამომვებულ იქნას მაღალხარისხოვანი პროდუქცია, ისეთი ფეხსაცმელი, რომელზეც მოთხოვნილებაა. მაგრამ, როგორც ეტყობა, ჩვენი სუსტი ზეგავლენის გამო, საწარმოები ჯერ კიდევ უშვებენ ისეთ პროდუქციას, რომელიც დაბალხარისხოვანია და ნაკლებად საღდება.

მომხმარებელთა უკეთ მომსახურების მიზნით შარშან მსხვილ საწარმოებში მოვაწყეთ დატარებინი ვაჭრობა, რამაც, უნდა ვთქვათ, მუშა-მოსამსახურეთა დიდი კმაყოფილება გამოიწვია. ამიტომ წელს ვფიქრობთ ასეთი ვაჭრობა კიდევ უფრო გავაფართოოთ. ამით მშრომელები ფეხსაცმლის შეძენისათვის ნაკლებ დროს დაკარგავენ. ამ საქმეში შარშან კარგი დახმარება გაგვიწიეს კიროვის ჩარხს

საერთაშორისო ხროვრება

ახალი კანონის საუკეთესოდ

ბუდაპეშტი, 2 თებერვალი. (საკ-დესი). დაიწყო უნგრეთის წინასაარჩევნო კამპანიის ახალი ეტაპი— იმართება ამომრჩეველთა კრებები სახელმწიფო კრებისა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასასახელებლად. სახალხო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში აირჩევენ 349 დეპუტატს. 19 მარტისათვის დანიშნული არჩევნები მოეწყობა ახალი საარჩევნო კანონის საფუძველზე, რომლითაც შემოღებულია ინდივიდუალური საარჩევნო ოლქების სისტემა კანდიდატთა სიებისათვის კენჭისყრის წინანდელი სისტემისაგან განსხვავებით.

კინოფესტივალი მონტე-კარლოში

პარიზი, 1 თებერვალი. (საკ-დესის კორ.). დღეს მონტე-კარლოში დაიწყო სატელევიზიო ფილმების ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობს 27 ქვეყანა.

საკ-დესის კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა მონტე-კარლოს კინოკრიტიკოს სასახლეს, ფესტივალის ჟიურის წევრმა ნ. პ. კარცევმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირმა კინოკურსზე წარადგინა ოთხი ფილმი: „სულიკო“ (რეჟისორი ს. კოლასოვი), „ზამთარში ყველა დათვს როდი სძინავს“ და „ეტიუდი რიგაზე“ (რეჟისორ-ოპერატორი ი. ბელიანკინი). უჩვენებენ აგრეთვე ფილმ „წითელი — ლურჯი — მწვანეს“. (რეჟისორი მ. გრიგორიევი), რომელიც აქ ნაჩვენები იქნება ფერადი ვარიანტით.

დ. ოიხსტრასს მიენიჭა პრემია

პარიზი, 2 თებერვალი. (საკდესი). საბჭოთა მეგობრებმა ნიკოლაი ოიხსტრახს მიენიჭა საფრანგეთის გრამჩაწერის აკადემიის დიდი პრემია. აკადემიის პრემია დ. ოიხსტრახს მიენიჭა კლოდ დებიუსის, სერგი პროკოფიევის, მორის რაველისა და ეჟენ იზაის ნაწარმოებთა შესრულებისათვის, რომლებიც ფირფიტაზეა ჩაწერილი.

ვიზიტი კარგი პერსპექტივებით...

ეროვნული ლიმეტის ფარგლებში

როცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი 6 თებერვალს ინგლისში ჩავა ოფიციალური ვიზიტით, იგი აღმოჩნდება იმ ქვეყანაში, სადაც საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა ხალხისადმი კეთილნების დიდი მარაგია.

პოლიტიკურად შეგნებული მუშები განსაკუთრებულ პატივს სცემენ საბჭოთა კავშირს, როგორც სოციალიზმის პირველ ქვეყანას. ხალხის მასები გულთბილად იხსენიებენ საბჭოთა ხალხს, როგორც მოკავშირეს მსოფლიო ომში გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ. მეცნიერთა და ტექნიკურ სპეციალისტთა სულ უფრო მზარდი წრეებისათვის საბჭოთა კავშირი მოწინავე მეცნიერული საზოგადოებაა, რომელმაც განახორციელა პირველი თანამგზავრის გაშვება და მოიპოვა მთელი რიგი წარმატებანი კოსმოსში.

ეს წრეებიც კი, რომლებიც მხარს უჭერენ კერძო მეწარმეობისა და კაპიტალის სისტემას, აღიარებენ, რომ საბჭოთა კავშირის ძლიერება რეალობაა და მზად არიან ანგარიში გაუწიონ საბჭოთა კავშირს, როგორც დიდ თანამედროვე ინდუსტრიულ სახელმწიფოს, რომელიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნების გაერთიანებაში.

ამ ბოლო წლებში ეს კეთილი ნება და პატივისცემა უმთავრესად ვლინდებოდა ვაჭრობის დარგში და მეცნიერული და კულტურული გაცვლის დარგში.

ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობას დიდხნის ტრადიცია აქვს, რომელიც მე-16 საუკუნეში დაიწყო. დროდადრო ეს ვაჭრობა ფერხდებოდა, მაგრამ ყოველთვის კვლავ სწრაფად ფართოვდებოდა იმის შედეგად, რომ, როგორც ამას წიხათ გაზეთი „ფაინენშლ ტაიმსი“ წერდა, „ორივე მხარე ბუნებრივად, კომერციულად არიან დაინტერესებული ერთმანეთის საქმლითი“.

ინგლისში საბჭოთა კავშირის ექსპორტის თითქმის ნახევარს ხე-ტყე შეადგენს. საბჭოთა კავშირი ხე-ტყის უდიდესი მიმწოდებელია ინგლისისათვის. ეს მიწოდება იმ ხეტყის დაახლოებით 20 პროცენტს შეადგენს, რომელსაც ინგლისი საზღვარგარეთ ყიდულობს. ინგლისს საბჭოთა კავშირიდან შემოაქვს აგრეთვე დიდძალი რკინის მადანი და რკინა, ფეროალი ლიითონები — ალუმინი, ვერცხლი, ტყვია და თუთია, აგრეთვე ბამბა და ქიმიკალიები. ჯერჯერობით ინგლისი ცოტას ყიდულობს საბჭოთა კავშირში მანქანების მოწყობილობას, მაგრამ ბევრი ინგლისელი მეწარმის აზრით, სასარგებლო იქნებოდა, რომ ინგლისს საბჭოთა კავშირიდან შემოეტანა ჩარხები სპეციალიზებული საწარმოებისათვის. 1966 წელს სსრ კავშირში ინგლისის ექსპორტის ნახევარს შეადგენდა მანქანებისა და ელექტრონეკნიკური მოწყობილობა. ამ ბოლო დროს ამ კატეგორიის ექსპორტში შედიოდა სალტის ქარხნის კომპლექტური მოწყობილობის, ქაღალდის ფაბრიკების და პლასტმასის ქარხნის კომპლექტური მოწყობილობის მიწოდება.

ორივე მხარე აღიარებს, რომ არის ვაჭრობის გაფართოების ფართო შესაძლებლობანი. ბრიტანეთის მრეწველობის კონფედერაციის გენერალურმა დირექტორმა ჯონ დევისმა ამას წიხათ განაცხადა, ვიმედოვნებ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვიზიტი „ტონს მისცემს ახალ ინიციატივას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ვაჭრობის მთელ დარგშიო“. მისი აზრით, ინგლისისა და სსრ კავშირის ურთიერთობა „შეიძლება მეტად ხელსაყრელად გაფართოვდეს“.

არსებობს ტექნიკური თანამშრომლობის მნიშვნელოვანი პოტენციალური შესაძლებლობანი. ინგლისის ტექნიკური „ცოდნა“ უკვე შეტანილია ინგლისისა და სსრ კავშირის მთელ რიგ სავაჭრო შეთანხმებებში, კაპიტალურ მოწყობილობასთან ერთად გაიყიდა პატენტები, რომლებიც საჭიროა უახლესი პროცესების გამოყენებისათვის.

გასული წლის ოქტომბერში ინგლისის უდიდესმა ქიმიურმა ფირმამ „იმპირიალ კემიკელ ინდასტრისმა“ შეთანხმება დაუდო საბჭოთა მთავრობას პლასტიკების დარგში ტექნიკური ინფორმაციის გაცვლის შესახებ. ფირმა „იმპირიალ კემიკელ ინდასტრის“ თავმჯდომარე სერ ჰოლ ჩემბერსი, რომელმაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კირილენთან ერთად მოაწერა ხელი შეთანხმებას, ამის შემდეგ წერდა, რომ მისი აზრით, „სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დარგში საბჭოთა კავშირის საქმიანობის ფართო მასშტაბი საინტერესო პარტნიორად ხდის საბჭოთა კავშირს ტექნიკურად მოწინავე ქვეყნებისათვის“. ინგლისის წამყვანი სამეცნიერო დაწესებულება — სამეფო საზოგადოება იმოწმებს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან და მის წინამორბედთან მეცნიერულ თანამშრომლობას, რომელსაც 300 წლის ისტორია აქვს. გასული წლის ოქტომბერში ამ ორმა ორგანიზაციამ დადეს შეთანხმება, რომ გაცვლიან მაღალკვალიფიციურ მეცნიერ მუშაკებს. ინგლისის ბევრი სამეცნიერო საზოგადოება ჯეროვან პატივს სცემს საბჭოთა მეცნიერებს, რომლებმაც დიდი წარმატებანი მოიპოვეს თავიანთ დარგებში.

წლითიწლობით იზრდება იმ საბჭოთა მსახიობების რიცხვი, რომლებიც ინგლისში მართავენ გასტროლებს და, ინგლისელ მსახიობთა რიცხვი, რომლებიც სსრ კავშირში ჩადიან. თუ 50-იანი წლების დამდეგს ასეთი მსახიობების რიცხვი უმნიშვნელო იყო, ახლა ისინი ძალიან ბევრნი არიან.

შარშან ინგლისელები აღტაცებით მიეგებოდნენ ლენინგრადის კიროვის სახელობის თეატრის სპექტაკლს „ოდნა“ ჯაკ პერსის მოცეკვავეთა ანსამბლს, პიანისტ სვიატოსლავ რიხტერს. დირიჟორ როჟდესტვენსკის, დავით და იგორ ოისტრახებს, მსტისლავ როსტროპოვიჩსა და გალინა ვიშნევსკაიას, აგრეთვე მრავალ სხვა ნაკლებად ცნობილ მსახიობს.

როგორც წესი, ინგლისელნი მხურვალედ ხვდებიან საბჭოთა მსახიობებს. მაგალითად, როცა საგასტროლოდ ჩამოსულია დიდი „ოპერის“ სადალეტო დასი, ბალეტის ზოგადი ხელმძღვანელი ფ. ულანოვა, ბალეტის ოსტატები ანეტ ფონტეინი და რუდოლფ ნურიევი, ბალეტის ოსტატები ანეტ ფონტეინ და ოლეგ ლონდინი.

ინდოეთ-ბანგლადეშის ურთიერთობა

ნიუ-იორკი, 2 თებერვალი. (საკდესის კორესპონდენტი ი. ბაბამოვი გვატყობინებს):

ამ ბოლო წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის განვითარებამ ამ ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ფენას სხვადასხვა და, როგორც გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი“ წერს, ზჩირად „მოულოდნელი“ შედეგები მოუტანა.

გაზეთს მოჰყავს სტატისტიკური მონაცემები, რომელთა შესაბამისად 1951 წელთან შედარებით ამერიკის ეკონომიკაში (სოფლის მეურნეობის გარდა) დასაქმებულთა რიცხვი 20 პროცენტით გაიზარდა და ამჟამად დაახლოებით 65 მილიონს შეადგენს. ამავე დროს მმაკაცთა წილი სამუშაო ძალაში 67 პროცენტიდან დაახლოებით 61 პროცენტამდე შემცირდა.

როგორც პრესა წერს, ცხოვრების გაძვირების გავლენით სულ უფრო მეტი ამერიკელი ქალი იწყებს მუშაობას. ამჟამად მუშაობს ერთიორად მეტი გათხოვილი ქალი, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პირველ წლებში მუშაობდა.

შეერთებული შტატების სამთამადნო მრეწველობაში დასაქმებულთა შემცირდა დაახლოებით 7 პროცენტით 1961 წელთან შედარებით. პრესა წერს, რომ ქვანახშირის მოპოვების ბევრ რაიონში კოზისული მდგომარეობაა.

„უოლ-სტრიტ ჯორნელი“ აღნიშნავს, რომ გრძელდება ფერმერთა გაჩანაგება და სოფლის რაიონებიდან ქალაქებში „ლტოლვა“. ფერმებში დასაქმებულობა 1961 წლის შემდეგ თითქმის მეოთხედით შემცირდა.

ამ ბოლო 6 წელიწადში ქარხნის მუშათა საშუალო საათობრივი ხელფასი დაახლოებით 20 პროცენტით გაიზარდა, ამაში გარკვეული როლი შეასრულა სამუშაო კვირის საშუალო ხანგრძლივობის გადიდებამ მრეწველობაში. ოფიციალური ტალფასის ტატების უდიდესი ნაწილი „შთანთქა“ ინფლაციამ, ცხოვრების გაძვირებამ.

ამავე დროს თითქმის 80 პროცენტი გაიზარდა რანტიეთა შემოსავალი, რომლებიც კაპიტალის პროცენტებს იღებენ. დივიდენტები გაიზარდა 53 პროცენტით და უფრო მეტად.

ამერიკელთა ოჯახების 3 პროცენტს სულ ცოტა სამ-სამი ავტომანქანა ჰყავთ. ამავე დროს 32 მილიონი ამერიკელი სიღატაკეში ცხოვრობს. მათი შემოსავალი სიღარიბის ოფიციალურად დადგენილ დონეზე უფრო მცირეა.

როგორც გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი“ წერს, ეს ციფრები სულაც არ არის „მოულოდნელი“. ასეთია დღევანდელი ამერიკის სინამდვილე — აყვავება და სიმდიდრე რიეულთათვის, სიღატაკე და სიღარიბე მოსახლეობის უმრავლესობისათვის, და ვერავითარი ეკონომიური „ბუმი“ ვერ შეცვლის ამ სურათს.

ამერიკის სინამდვილე

კივუ სტოიკა ტუნისში

ბუქარესტი, 2 თებერვალი. (საკდესი). რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე კივუ სტოიკა დღეს ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად გაემგზავრა ტუნისში პრეზიდენტ ხ. ბურგიბას მიწვევით.

ნეონაციზმი — მუშიდოგის საფრთხე

ბერლინი, 1 თებერვალი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებმა, კულტურის მოღვაწეებმა და ეკლესიის წარმომადგენლებმა მოუწოდეს საერთაშორისო საზოგადოებრიობას მხარი დაუჭიროს იმ დასავლეთგერმანელებს, რომლებიც იბრძვიან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ნაციზმის აღორძინების წინააღმდეგ, განცხადებენ, რომელიც დღეს გამოაქვეყნა გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დასავლეთ გერმანიაში სულ უფრო იზრდება ნეონაციზმის საფრთხე. როგორც აღნიშნულია განცხადებაში, ბონის სახელმწიფოში დღეს ხელმძღვანელი პოსტები უკავიათ იმათ, ვინც წინათ ჰიტლერს ემსახურებოდა. პასუხისმგებლობა დასავლეთ გერმანიაში ნეონაციზტური პარტიის წევრთა რიცხვის განუწყვეტელი ზრდისათვის ეკისრება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველ წრეებს.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამუდამოდ მოისპო ნაციზმისა და მილიტარიზმის საფუძვლები. ამავე დროს დასავლეთ გერმანიის მთავრობის პოლიტიკურმა კურსმა — პრეტენზიებმა, რომ გბატონდნენ ევროპაში, მოითხოვნა, რომ გადაისინჯოს საზღვრები, მისწრაფება, რომ ხელთ იგდონ ატომური იარაღი — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ნიადაგი მოამზადა ახალი ნაციზმის წარმოშობისათვის.

განცხადებას ხელი მოაწერეს მწერალმა არნოლდ ცვაიგმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა ვალტერ ფრიდრიხმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გრეტა კუსოფმა, იენსიის მოდვაწემ პროფესორმა ემილ ფუქსმა და სხვებმა.

სპეციალისტები გარბიან

ლონდონი, 1 თებერვალი. (საკდესი). 1.300-ზე მეტი ავიაციისა და კოსმოსური კვლევის დარგის მაღალკვალიფიციური ინგლისელი სპეციალისტი სამუდამოდ გადავიდა უცხოეთის კომპანიებში. ეს ნათქვამია საავიაციო-კოსმოსური კომპანიების საზოგადოების მიერ გამოქვეყნებულ ცნობებში.

ეს ციფრები მიიღეს იმის შედეგად, რომ შეამოწმეს 436 კომპანია, რომლებიც მოქმედებენ კოსმოსური, თვითმფრინავსაშენებელი, ელექტრონული და მრეწველობის სხვა დარგებში. ყველაზე მეტი — 520 კაცი — წავიდა შეერთებულ შტატებში. 344 კაცი სამუშაოდ გადავიდა ინგლისში მოქმედ უცხოეთის ფირმებში. ინგლისის მრეწველობიდან წასულთა შორის 450-ზე მეტი თვალსაჩინო კონსტრუქტორი, 600-ზე მეტი ინჟინერი და 41 მეცნიერი მუშაკია.

მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა წასვლა ინგლისიდან, რომლებიც უფრო დიდ ხელფასსა და შრომის უკეთეს პირობებს ეძებენ, ახლა სერიოზულ ეროვნულ პრობლემად ითვლება.

ბულგარეთ-ინდოეთ-ბანგლადეშის ურთიერთობა

ნიუ-იორკი, 2 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ი. ბაბამოვი გვატყობინებს:

ამ ბოლო წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის განვითარებამ ამ ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ფენას სხვადასხვა და, როგორც გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი“ წერს, ზჩირად „მოულოდნელი“ შედეგები მოუტანა.

გაზეთს მოჰყავს სტატისტიკური მონაცემები, რომელთა შესაბამისად 1951 წელთან შედარებით ამერიკის ეკონომიკაში (სოფლის მეურნეობის გარდა) დასაქმებულთა რიცხვი 20 პროცენტით გაიზარდა და ამჟამად დაახლოებით 65 მილიონს შეადგენს. ამავე დროს მმაკაცთა წილი სამუშაო ძალაში 67 პროცენტიდან დაახლოებით 61 პროცენტამდე შემცირდა.

როგორც პრესა წერს, ცხოვრების გაძვირების გავლენით სულ უფრო მეტი ამერიკელი ქალი იწყებს მუშაობას. ამჟამად მუშაობს ერთიორად მეტი გათხოვილი ქალი, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პირველ წლებში მუშაობდა.

ბულგარეთ-ინდოეთ-ბანგლადეშის ურთიერთობა

ამერიკელ ხელისუფალთა წაქეზებით





მსოფლიო ფოტოგიჟეტივში

ავღანეთში საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით აღმოჩენილია შიბერგანის გაზის საბადები. ბუნებრივი გაზის ნაწილი ექსპორტირებული იქნება საბჭოთა კავშირში გაზსადენით ა[illegible]ნეთი-საბჭოთა კავშირი, რომელიც ახლა შენდება. ახალი ამბებიდ საავგენტოს კორესპონდენტის ხ. ისრაილოვის სურათზე (ზემოთ) თქვენ სწორედ ამ გაზსადენის მშენებლობის ერთ-ერთ უბანს ხედავთ. ამასწინათ მშენებლებმა გადალახეს ტრასის ერთ-ერთი ურთულესი უბანი — მდინარე ამუ-დარია. ერთი მეტრი დიამეტრის ფოლადის ნიმუმ ერთმანეთს დაუკავშირა ორი ნაპირი — საბჭოთა და ავღანეთისა.

მეორე სურათს ავღანეთიდან ადრიატიკის თვალწარმტაც სანაპიროზე გადავყავართ. რიეკა სოციალისტური იუგოსლავიის ერთ-ერთი უმსხვილესი ნავსადგურია ადრიატიკის ზღვაზე. ნავსადგურის ტვირთბრუნვა წელიწადში 6 მილიონ ტონას აღემატება.

პროვოკაციები გრძელდება

ჩინეთის ხელისუფლები, ახორციელებენ რა გააფთრებულ ანტისაბჭოთა კამპანიას, ცდილობენ აუტანელი ვითარება შეუქმნან სსრ კავშირის პეკინის საელჩოსა და სხვა საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებს და მათ ოჯახებს. საელჩოს ახლოს დადგენილია მძლავრი დინამიკები, რომლებიც განუწყვეტლივ გადასცემენ ანტისაბჭოთა ლოზუნგებს, საშუალებას არ აძლევენ ალუაში მოქცეულ საბჭოთა ადამიანებს დაიძინონ. გთოვნებდეთ ბუნვეიბინები ეზოში ყრიან ეცცხლწყაიდებულ საგნებს. რითაც ხანძრის გაჩენის საფრთხე იქმნება.

ჩინეთის ხელისუფალნი და ხუნვეიბინები ამაოდ ცდილობენ დაანშინონ საბჭოთა დიპლომატები, მოუწყონ პროვოკაციები.

აღვირახსნილ ანტისაბჭოთა დემონსტრაციად გადაიქცა შეხვედრა პეკინში ჩამოსულ ჩინელ სტუდენტებთან, რომლებიც 25 ივნვარს მონაწილეობდნენ ხულიგნურ გამოსვლებში მოსკოვის წითელ მოედანზე. ვოგზალის მიაყენა ხუნვეიბინთა და ძაოფანთა, ჯარისკაცთა ჯგუფები. სამოქალაქო პირთა კოლონები სამხედრო მოსამსახურეების მეთაურობით მოვიდნენ. შეხვედრის დროს წარმოთქვეს სტატეები, რომლებითაც საბჭოთა კავშირს უხეშად შეურაცხყოფდნენ.

„ეენმინ ჟიბაო“ 1 თებერვალს მოწინავე სტატიაში „მხურვალედ მიესალმება“ ჩინელი ხულიგანი სტუდენტების „ძლევამოსილ დაბრუნებას“ პეკინში.

ძაოფანებმა გარეკეს ჩინეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დროებითი სამდივნო. როგორც ვიუწყებოდთ, ჩინეთის კომკავშირის ხელმძღვანელები, რომლებიც ჩინეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის უკანსკნელმა ყრილობამ აირჩია 1964 წელს, სულ რამდენიმე თვის წინათ მოხსნეს თავიანთი პოსტებიდან და ბრალად დასდეს მაო ძე-დუნის წინააღმდეგ გამოსვლებში მონაწილეობა. კომკავშირის წინანდელი ხელმძღვანელები — „შავი ბანდიტები“ (როგორც მათ უწოდებენ) შეცვალა დროებითმა სამდივნომ, რომელსაც უნდა განეხორციელებინა „მაოს ხაზი“. როგორც ჩანს, ამ დროებითმა ორგანომაც ვერ გაამართლა „კულტურული რევოლუციის“ ორგანიზატორთა იმედები.

ხუნვეიბინების გაზეთი „სინ ბეიდა“ („პეკინის ახალი უნივერსიტეტი“) წერს, რომ „შფოთის თავებმა“ დაითხოვეს დროებითი სამდივნო და „ხელში აიღეს ძალაუფლება“ ჩინეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალურ კომიტეტში. გაზეთი წერს, რომ ვან დაო-ი ჩამოაშორეს დროებითი სამდივნოს ხელმძღვანელობას და „შფოთის თავთა“ გადაწყვეტილებით მას დაავალეს „ცნოს თავისი შეცდომები“ და „ამხილოს“ ჩინეთის ახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ლიუ შაო ცის, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის დენ სიაო-პინისა და ჩინეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის „დანაშაულის“. ამავე დროს „შფოთის თავებმა“ განაცხადეს, რომ ყველას, ვინც წინააღმდგება ამ გადაწყვეტილებას, მიიჩნევენ „ელემენტებად, რომლებიც ძირს უთხრიან კულტურულ რევოლუციას“.

გაზეთები წერენ, რომ ძაოფანების მთავარმა ხარდლობამ „ხელში აიღო ხელმძღვანელობა“ ჩინეთის კომუნისტური პარტიის გუიჟოუს პროვინციის კომიტეტის და სახალხო კომიტეტში, აგრეთვე ამ პროვინციის მთავარ ქალაქ გუიანში.

ჩინელ ხელისუფალთა წაქეზებით

◆

პეკინიდან გადმოცემული უცხოელი კორესპონდენტების ცნობებში ნათქვამია, რომ ძაბებული ვითარება შეიქმნა სინძიანში, და მოხდა „მაო ძე-დუნის საწინააღმდეგო ჯარისკაცებიკი“ ამ რაიონში. იუწყებიან, რომ სინძიანში გაგზავნეს რეგულარული არმიის ნაწილები. სხვა ცნობებში ნათქვამია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი დათანხმდა შეხვდეს „ამბოხებულ გენერალს“ ვან ენ-მაოს, რომელიც სამხედრო ხელისუფლებას ახორციელებს და ჩინეთის კომუნისტური პარტიის სინძიან-უიგურის ავტონომიური რაიონის კომიტეტის პირველი მდივანია.

როგორც გაზეთ „იომიურის“ პეკინელი კორესპონდენტი იუწყება, ჩინეთის დედაქალაქში კვლავ გავრცელდა ხუნვეიბინთა მასალები, რომლებშიც თავს ესხმიან სრულიად ჩინეთის სახალხო ჯარმომადგენლთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ჯუ დეს. პეკინის ქუჩებში გამოკრულია მოწოდებანი „დამბონ“ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ჯუ დე. მოწოდებებში აღნუსხულია დანაშაული, რომელიც ჯუ დემ ჩადინა „მაო ძე-დუნის წინააღმდეგ საქმიანობაში“.

ალჟირი, 2 თებერვალი. (საკდესი). ამ რამდენიმე დღის წინათ ალჟირში მცხოვრები ჩინელი მოქალაქეები ხულიგნურად მოეკვნენ სსრ კავშირის ალჟირის საელჩოს დიპლომატიურ თანამშრომლებსა და ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში მყოფ საბჭოთა მოქალაქეებს, გუშინ ახალი სერიოზული პროვოკაცია მოაწყვეს. ჩინელთა ჯგუფმა, რომელშიც 60 კაცი იქნებოდა, უხეშად დაარღვია საერთაშორისო სამართლისა და დიპლომატიური იმუნიტეტის საყოველთაოდ მიღებული ნორმები. გაიჭრა საბჭოთა კავშირის საელჩოს მანქანა, რომელშიც საელჩოს პირველი მდივანი და მისი ქალიშვილი იისხდნენ. გბოროტებული ჩინელი მოქალაქენი ყვირილით შემოეტვივნენ ავტომანქანას, უბრახუნებდნენ მანქანის მინებს, სახურავსა და კარებს. ცდილობდნენ კარი გაეღოთ და შიგ შეეჭრილიყვნენ, იმუქრებოდნენ, ლანდღავდნენ საბჭოთა კავშირს, საბჭოთა ხალხს, მის პარტიასა და მთავრობას.

ცოტა ხნის შემდეგ თავზეხელაღებული ხულიგნების იგივე ჯგუფი ცდილობდა გაეჭრებინა ავტობუსი, რომელშიც სკოლაში მიმავალი საბჭოთა ბავშვები იუვნენ.

სსრ კავშირის ალჟირის საელჩომ ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობა ალჟირში მცხოვრები ჩინელების ეს უსამართლო საქციელი და ყურადღება მიაპყრო იმას, რომ აღვირახსნილი მოქმედება ორგანიზებული ანტისაბჭოთა პროვოკაციული გამოსვლაა.

გუშინ ალჟირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ამ ინციდენტების გამო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული გუშინ დილით გამოიძახეს და მიიღეს საგარეო საქმეთა სამინისტროში. დროებითმა რწმუნებულმა, აღნიშნულია სამინისტროს ცნობაში, „უარი თქვა მიეღო საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა. ამიტომ სამინისტრომ განახორციელა ღონისძიებანი საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად“.

პარიზი, 2 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ჩინელმა „დემონსტრანტებმა“ ავტომანქანიდან გამოათრიეს საფრანგეთის სავაჭრო მრჩეველი და აიძულეს ყინვაში მდგარიყო დღის სამ საათიდან საღამოს ცხრა საათამდე, იუწყება პეკინდან ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი.

საფრანგეთის სავაჭრო მრჩეველი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში რობერ რიშარი და მისი მეუღლე საელჩოში მიდიოდნენ, როცა მათი ავტომანქანა „დემონსტრანტებმა“ გააჩერეს. მათ გამოათრიეს ფრანგი დიპლომატი მანქანიდან და აღუა შემოაკრეს. როგორც კორესპონდენტი გვატყობინებს, ბრმა გაიძახოდა შეურაცხმყოფელ სიტყვებს, სულ უფრო თავზეხედურ მუქარას ფრანგი დიპლომატის მიმართ.

საფრანგეთის ელჩმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ლუსენენ პეიმ რამდენჯერმე განუცხადა პროტესტი ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა გაეთავისუფლებინათ ბატონი რიშარი და ქალბატონი რიშარი.

ბოლოს და ბოლოს დიპლომატი და მისი მეუღლე წაიყვანეს საელჩოს მდივნის თანხლებით.

პარიზი, 2 თებერვალი. (საკდესი). საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მტკიცე პროტესტი განუცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩს საფრანგეთში იმის გამო, რომ ხუნვეიბინებმა და პეკინის პოლიციამ უკანონოდ დაიკავეს და შეურაცხყოფა მიაყენეს საფრანგეთის პეკინის საელჩოს მრჩეველს რიშარს და მის მეუღლეს.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩინეთის ელჩის განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ ასეთი ინციდენტები მეტად სერიოზული ხასიათისაა და მოითხოვა, რომ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მათი დაუყოვნებლივ შეწყვეტისათვის.

ბულგარეთ-ინდოეთ-ბანგლადეშის ურთიერთობა

საჭადრაკო მარათონის ფინიში

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ ადგილები ასე განაწილდა ◆ ჩემპიონატი საზეიმოდ დაიხურა ◆ ტურნირის ირგვლივ ◆

უკანასკნელი ტურიდან მხოლოდ სამი პარტია იყო გადადებული. ოსნოსმა დაამარცხა კრაგიუსი, სავონამ — ნეი, ვასიუკოვმა — ლიბერზონი.

ამრიგად, XXXIV საჭადრაკო ჩემპიონატის ცხრილის ყველა უჯრედი შეიჭყლიტა. აი როგორ განაწილდა ადგილები:

როგორც ცნობილია, ლვოველი გროსმაისტერი ლ. შტეინი მესამეჯერ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი. 20 შესაძლებლიდან მან 18 ქულა შეაგროვა.

გროსმაისტერმა ე. გელერმა (ოდესა) საბოლოო ცხრილში 12,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა და ტუნისის საგზურიც გაინაღდა.

მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილები დაიკავეს ლენინგრადელმა გროსმაისტერებმა ვ. კორჩნოიმ და მ. ტაიმანოვმა და რიგელმა საერთაშორისო ოსტატმა ა. ბინასლისმა. თვითეულ მათგანს 12 ქულა აქვს. რადგან გასანაწილებელი დარჩა ტუნისის მხოლოდ ორი საგზური, მათ შორის მოეწყობა მატჩ-ტურნირი.

მეექვსე ადგილზე გამოვიდა ლენინგრადის ოლქის წარმომადგენელი საერთაშორისო ოსტატი ა. ლეინი — 11,5 ქულა, მეშვიდეზე — სარატოველი გროსმაისტერი ნ. კრაგიუსი — 11 ქულა.

გროსმაისტერებმა დ. ბრონშტეინმა (მოსკოვი) და ლ. პოლუგაევსკიმ (მოსკოვის ოლქი) ათნახევარ-ათნახევარი ქულა შეაგროვეს და მერვე და მეცხრე ადგილები გაიყვეს.

მომდევნო სამი ადგილი ათ-ათი ქულით გაინაწილეს გროსმაისტერებმა ვ. სმისლოვმა (მოსკოვი) და რ. ხოლმოვმა (სოჭი) და ოსტატმა ვ. სავონამ (ხარკოვი). მეცამეტე ადგილზეა საერთაშორისო ოსტატი ე. გუფელდი (კიევი) — 9,5 ქულა.

ბ. გურგენიძემ, ე. ვასიუკოვმა და ვ. ოსნოსმა ცხრა-ცხრა ქულა შეაგროვეს და მეთოთხმეტე, მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე ადგილები გაინაწილეს.

ა. სუეტინმა 8,5 ქულით მეჩვიდმეტე ადგილი დაიკავა. მომდევნო ორ ადგილზე ზრიან ვ. ლიბერზონი და ი. ნეი — რვა-რვა ქულა. ი. ნიკოლაევსკის 7,5 ქულა აქვს, ვ. დოროშკევიჩს — 6,5 ქულა.

ბუშინ თბილისის რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზის სცენაზე უკვე აღარ იყო საჭადრაკო მაგიდები და სადემონსტრაციო დაფები, გროსმაისტერებმა და ოსტატებმა საჭადრაკო საათები გააჩერეს და XXXIV პირველობის დამთავრებას ზეიმობდნენ.

ჩემპიონატის საზეიმო დახურვისადმი მიძღვნილი საღამო გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ. მან პირველობის მონაწილეებს, კერძოდ პრიზიორებს მიულოცა წარმატებები და უსურვა ახალ-ახალი მიღწევები.

პირველობის შედეგებზე ილაპარაკა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ლ. აბრამოვმა. მოჭადრაკეებს მიესალმა სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი ი. ზარუბინი. მან სსრ კავშირის ჩემპიონს ლ. შტეინს საზეიმოდ გადასცა ოქროს მედალი და პირველი ხარისხის დიპლომი. ე. გელერს გადაეცა ვერცხლის მედალი. ვ. კორჩნოიმ, მ. ტაიმანოვმა და ა. ბინასლისმა დაიმახსოვრეს ბრინჯაოს მედლები.

თბილისის საზოგადოებრივობისა და ჭადრაკის მოყვარულთა სახელით ჩემპიონატის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი რ. დვალი, საბჭოთა ჟურნალისტებისა და პრესის სახელით გროსმაისტერი მ. ტალი.

მონაწილეთა სახელით გამოვიდნენ სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. შტეინი და გროსმაისტერი მ. ტაიმანოვი. მათ აღნიშნეს ტურნირის ჩინებული ორგანიზაცია და მადლობა გადაუხადეს თბილისელებს გულთბილი მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის.

ამის შემდეგ მოეწყო სპეციალური პრიზების გადაცემა.

როგორც ცნობილია, 1965 წელს ნ. გაფრინდაშვილი მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის. ფიდეს პრეზიდენტის რობერტი დავალებით სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. აბრამოვმა ნ. გაფრინდაშვილს გადასცა ოქროს მედალი და დიპლომი. სსრ კავშირის ჩემპიონმა ნ. ალექსანდრიამ და ჩვენი ქვეყნის მოსწავლეთა პირველობაში გამარჯვებულმა ც. კობაიძემ ნ. გაფრინდაშვილს ყვავილების კალათი უძღვნეს. ნ. გაფრინდაშვილს მიენიჭა ვაჟთა-თვის დაწესებული საერთაშორისო ოსტატის წოდება.

დასასრულს გაიმართა კონცერტი.

თორმეტი გროსმაისტერი და ცხრა ოსტატი იბრძოდა XXXIV საჭადრაკო ჩემპიონატში. ოსტატებიდან გროსმაისტერებთან პაექრობაში ყველაზე უკეთესი შედეგი მოიპოვა ვ. ოსნოსმა, რომელმაც 7,5 ქულა მოაგროვა. მან დამარცხა გელერი, პოლუგაევსკი, ბრონშტეინი და კრაგიუსი, წააგო მხოლოდ კორჩნოისთან, დანარჩენებთან კი შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. ბ. გურგენიძემ აქ 4 ქულით მერვე ადგილი დაიკავა.

გროსმაისტერებმა ერთმანეთთან დაეაში ყველაზე უკეთესი შედეგი მოიპოვეს ლ. შტეინმა და ე. გელერმა. მათ შვიდ-შვიდი ქულა შეაგროვეს. უქმს-ექვსი ქულით მესამე-მეექვსე ადგილები გაიყვეს: ტაიმანოვმა, კორჩნოიმ, პოლუგაევსკიმ და კრაგიუსმა. აღსანიშნავია, რომ კორჩნოის არც ერთი პარტია არ წაუგია, ამასთანავე აღიარებულია „ყაიმების მეფედ“ (16).

ცხრა ოსტატის ერთმანეთთან პაექრობაში ყველას სძლია ა. გიპსლისმა, რომელმაც 6 ქულა შეაგროვა. მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს ა. ლეინმა და ბ. გურგენიძემ. — ხუთ-ხუთი ქულა. გურგენიძემ მოუგო ოსნოსს, ნიკოლაევსკის, დოროშკევიჩს და ლეინს, წააგო ნეისთან და გიპსლისთან, ყაიმით დამთავრა შეხვედრები გუფელდთან და სავონთან.

სურათებზე: მარცხნივ — სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი ი. ზარუბინი აჯილდოვებს ახალ ჩემპიონს ლ. შტეინს; მარჯვნივ — ჭადრაკის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ლ. აბრამოვი ოქროს მედალს გადახცემს მსოფლიოს ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ნაკრები იუგოსლავიაში გაემგზავრა

ოცზე მეტ მატჩს ითამაშებს ახალ სეზონში სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. ამ შეხვედრებიდან მთავარია ევროპის პირველი ჩემპიონატის ექვსი შესარჩევი შეხვედრა: ავსტრიასთან (11 ივნისსა და 15 ოქტომბერს), საბერძნეთთან (16 ივნისს და 31 ოქტომბერს) და თინეთთან (30 აგვისტოს და 6 სექტემბერს). პასუხსაგები სეზონისათვის მზადებას ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელები დაიწყებენ იუგოსლავიის მაკარსკის სასპორტო ბაზაში, რომელიც ადრიატიკის ზღვის პირასაა.

ნაკრები გუნდის ახალმა უფროსმა მწვრთნელმა მ. იაკუშინმა და მისმა თანაშემწემ სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა — მოსკოველი „დინამოს“ ყოფილმა მოთამაშემ ვ. ცარიოვმა პირველი ორი კვირის საწვრთნელი შეკრებისათვის ცხრამეტი მოთამაშე მოიწვიეს „ა“ კლასის პირველი ჯგუფის ათი წამყვანი კლუბიდან.

ესენი არიან — ინგლისის-მსოფლიოს ჩემპიონატის თორმეტი მონაწილე — მეკარე ა. კავაზაშვილი („ტორპედო“, მოსკოვი), მცველები — ვ. აფონინი (არმიის სასპორტო კლუბი, დონის-როსტოვი), მ. ხურცილავა („დინამო“, თბილისი), ა. შესტერნინოვი (არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბი), ვ. დანილოვი („ზენიტი“, ლენინგრადი); ნახევარმცველები ვ. ვორონინი („ტორპედო“, მოსკოვი), ი. საბო („დინამო“, კიევი), გ. სიბინეთი („დინამო“, თბილისი); თავდამსხმელები — ა. ბანიშევსკი („ნეფტჩანიკი“), ე. მალაფეევი („დინამო“, მინსკი), ს. მეტრეველი („დინამო“, თბილისი), ვ. პარეული („დინამო“, კიევი) და შვიდი სხვა მოთამაშე: მეკარე ს. კრამარენკო („ნეფტჩანიკი“); ნახევარმცველი ა. ლენოვი („ტორპედო“, მოსკოვი); თავდამსხმელები — გ. ევრიუჟინი („დინამო“, მოსკოვი), გ. მატვეევი (არმიის სასპორტო კლუბი, დონის როსტოვი), ე. სტრელცოვი („ტორპედო“, მოსკოვი), კ. ტუაევი („ნეფტჩანიკი“) და ვ. კოზლოვი („ლოკომოტივი“).

მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების გამო ნაკრებში ვერ ითამაშებს ლ. იაშინი და ტრამვის გამო — მცველი ვ. პოზმარიოვი (არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბი).

დღეს დილით სსრ კავშირის ნაკრები გუნდი ბელგრადს გაფრინდა. საწვრთნელი მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ჩვენი სპორტსმენები გაემგზავრებიან ადრინის ნახევარკუნძულზე, სადაც 2-3 მარტს გამართავენ იტალიის წამყვან საკლუბო გუნდებთან. 3 მარტს კი ჩვენი ფეხბურთელები შინ დაბრუნდებიან. (საკდისი).

„ჩვენი მსოფლიო“ — მსოფლიო სატელევიზიო მაყურებელი

ქინე